აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის

2015 წლის 12 თვის საქმიანობის ანგარიში

2015 წელს, აჭარაში სასტუმროების ზრდადი ტენდენცია შეინიშნებოდა. რეგიონს გასულ წელს 42 რეგისტრირებული განთავსების ობიექტი შეემატა, მათ შორის ჰილტონი, ლეოგრანდი, მარინა კოლიზეუმი, სპუტნიკ ბუტიკი და სხვები. 2014 წელთან შედარებით ადგილთა რაოდენობა 23,3 % - ით გაზრდილია, რაც საბოლოო ჯამში დამატებით 2 919 განთავსების ადგილს გულისხმობს. გასულ წელს რეგიონში ფრენების მხრივაც იყო სიახლე. ისრაელიდან და რუსეთიდან აჭარის მიმართულებით ორი ახალი რეისი დაგვემატა, რომელსაც არქია ეარლაინსი და ურალის ავიახაზები ასრულებდნენ.

გასული წელი რეგიონისთვის მნიშვნელოვანი იყო ახალი კურორტის გახსნის მხრივაც. 2015 წლის ბოლოს აჭარას ახალი სამთო-სათხილამურო კურორტი „გოდერძი“ შეემატა, რომელიც უცხოელ ტურისტებს შორის საკმაო პოპულარობით სარგებლობს უკვე.

რეგიონში ტურიზმის სექტორის განვითარების მიზნით დეპარტამენტს 4 სტრატეგიული მიმართულება გააჩნია. ესენია: სტატისტიკური და ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება, მარკეტინგული ღონისძიებების წარმოება სამიზნე ქვეყნებში, სერვისის გაუმჯობესება ტურიზმის სექტორში და ტურისტული პროდუქტების განვითარება.

სტატისტიკა

2015 წელს ტურისტების რაოდენობის ზრდა აჭარის მასშტაბით რეგისტრირებულ განთავსების ობიექტებში 2014 წელთან შედარებით:

2015 წელი **–2,78 % ზრდა** (443’667)

მათ შორის უცხოელი ტურისტი **1,7 % (265’ 492)**

შიდა ტურისტი - **4,4 % (178’ 175)**

ქვეყნები:

განთავსების ობიექტების მიხედვით რაოდენობრივი მაჩვენებლებით ლიდერობს შემდეგი სამიზნე ქვეყნები: **თურქეთი** (+1,2%), **აზერბაიჯანი** (+0,2%), **რუსეთი** (+1,6%), **უკრაინა** (+1,5%), **სომხეთი** (+0,7%), **პოლონეთი** (+0,7%), **ისრაელი** (+19,9%), **ბელორუსია** (+4,7%), **ყაზახეთი** (+3,5%), **ლიტვა** (+2,8%)

უცხოელი ვიზიტორების ზრდა ბათუმის აეროპორტში:

2015 – 18 % ზრდა (77 447)

ქვეყნები: 9 თვის მონაცემებით ქვეყნების მიხედვით გამოიკვეთა შემდეგი ექვსეული: უკრაინა 18 830, რუსეთი 16 076, თურქეთი 10 244, ისრაელი 9 888, ბელორუსია 6 776, პოლონეთი 5 428

სტატისტიკური კვლევები და ახალი მეთოდოლოგია:

-რეგისტრირებულ (სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები) და არარეგისტრირებულ (კერძოდ განთავსების ობიექტების) სექტორში ახალი მეთოდოლოგიით სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და შემდგომი ანალიზი.

- ტურისტული ბაზრის კვლევა,რომელიც მოიცავს შიდა სამომხმარებლო ბაზრისა და უცხოელ ვიზიტორთა კვლევებს.

სარეკლამო კამპანიები 10 ქვეყანაში

დეპარტამენტი 2015 წელს სარეკლამო კამპანიებს აწარმოებდა 10 სამიზნე ქვეყნის 20-ზე მეტ ქალაქში (ყაზახეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია, თურქეთი, ისრაელი, პოლონეთი, ლიტვა, საქართველო). სარეკლამო კამპანიები მოიცავდა გარე რეკლამას ბილბორდებსა და ეკრანებზე ხალხმრავალ ადგილებში.

წვდომა: **43 687 537**

ონლაინ რეკლამა

გარდა ტრადიციული მარკეტინგული ღონისძიებებისა, დეპარტამენტი წლის დასაწყისიდან დღემდე აღნიშნულ სამიზნე ქვეყნებში ახორციელებს რეგიონის ონლაინ რეკლამირებას სოციალური მედია ინსტრუმენტებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შედეგად,

411 588 ვიზიტორი ვებ-გვერდზე: www.goBatumi.com.

150 781 მომხმარებელი სოციალურ ქსელში

646 095 ყოველთვიური წვდომა სოციალურ მედიაში.

PR აქტივობები

35 საინფორმაციო ტური - 228 ჟურნალისტი და 144 ტუროპერატორი (სულ 372

ტურიზმის დარგის პროფესიონალი)

წვდომა: 36 263 593.

გამოქვეყნდა 170-მდე სარეკლამო ხასიათის სტატია ჩვენს სამიზნე ქვეყნებში, ასევე გადაღებულ იქნა არაერთი სატელევიზიო სიუჟეტი აჭარა-ბათუმის ტურისტული პოტენციალის შესახებ. წელს პირველად, სარეკლამო ხასიათის პიარ-აქტივობები დეპარტამენტმა განახორციელა არამარტო სეზონამდე პერიოდში, არამედ ივლისი-აგვისტოს ცხელ დღეებშიც და ზამთარში აჭარაში დასვენების და წინასაახალწლო ღონისძიებების პოპულარიზაციის მიზნით.

საერთაშორისო ტურისტული გამოფენები და კონფერენციები

2015 წელს 25 მდე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენასა დ აკონფერენციაში მივიღეთ მონაწილეობა. მათ შორის :

საერთაშორისო ღონისძიებებსა და ეკონომიკურ ფორუმებში მონაწილეობა:

ყაზახეთი, უკრაინა, საფრანგეთი, ბულგარეთი, კვიპროსი, თურქეთი

წელს, მარკეტინგული ღონისძიებების ბიუჯეტი მილიონი ლარით გაიზარდა. სამიზნე ქვეყნებს შეემატა რუსეთის ფედერაციაც, სადაც დეპარტამენტი აქტიური პიარ კამპანიების წარმოებას გეგმავს. მიმდინარე წელს, დეპარტამენტი გაზრდილი ბიუჯეტის შედეგად სამიზნე ქვეყნებში გეგმავს, როგორც პირდაპირ რეკლამებს (ბილბორდები, ლაითბოქსები, ეკრანები, ავტობუსების ბრენდირება და გაჩერებების შეფუთვა), ასევე სხვადასხვა პიარ აქტივოებებს, მათ შორის კონკურსებს, აჭარის დღეებისა და ფესტივალების მოწყობას, პრესს და ინფო ტურების ორგანიზებას.

ტურისტული პროდუქტები

2015 წელს ა(ა)იპ ბათუმის ტურისტულ სააგენტოს შეეცვალა სახელი და პროფილი, გადაკეთდა ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოდ, რომლის ძირითადი მიზანია სოფლად ტურიზმის და საზღვაო ზოლს მიღმა არსებული ტურისტული პოტენციალის ათვისება - განვითარება.

სოფლად ტურიზმის ევროპულ ფედერაციის „Eurogites“ წევრობა

ევროპის სოფლად ტურიზმის ფედერაციაში გაწევრიანებით აჭარის ტურისტული მეურნეობები მოხდება სოფლად ტურიზმის საერთაშორისო საინფორმაციო ბაზაში. აჭარის ა.რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს საშუალება მიეცემა მიიღოს ევროპული გამოცდილება, დანერგოს ევროპული/საერთაშორისო სტანდარტები და მონაწილეობა

მიიღოს ფედერაციის სხვადასხვა აქტივობებში, რაც ხელს შეუწყობს როგორც რეგიონის სოფლად ტურიზმის განვითარებას, ისე აჭარის რეგიონის სოფლად ტურიზმის ცნობადობის გაზრდას ევროპის მასშტაბით.

8 ტურისტული საინფორმაციო ცენტრი და მათი ახალი სერვისები

წელს პირველად, საინფორმაციო ცენტრები ერთიანი დიზაინის (საქართველოს დროში ფერებში) ქვეშ მოექცა. წელს პირველად, ტურისტებისათვის შეიქმნა ფასდაკლებების ბარათი, რომელიც სხვადასხვა სერვისს აერთიანებდა, კერძოდ ერთთვიანი ბარათი მოიცავს მუნიციპალური ტრანსპორტის 15 ბილეთს, ტელეფონის სიმ-ბარათს, 5%-იდან 30%-მდე ფასდაკლებებს რეგიონის ტურისტულ ობიეტებში (სასტუმროები, კაფე-რესტორნები, ატრაქციები). წელს პირველად ამოქმედდა ბარგის შენახვისა და ბათუმის ღია ბარათების გაგზავნის სერვისი. საინფორმაციო ცენტრი საბაგირო გზასთან 24 საათიანი სერვისით ემსახურებოდა ქალაქის სტუმრებს. ამოქმედდა ასევე ცხელი ხაზი, რომელზედაც ტურიზმის მიმართულებით ნებისმიერი ინფორმაციის მიღებას უზრუნველყოფს.

დაიბეჭდა ბათუმის, აჭარის გზამკვლევი სამ ენაზე (20 000 ც) (წარმოადგენს მოკლე , პრაქტიკულ და ტურისტების საჭიროებებზე მორგებულ ძირითად გზამკვლევს. რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას, რაც შესაძლებელია დასჭირდეს ტურისტს , მაგალითად ინფორმაცია ტრანსპორტის, ობიექტებზე მისვლის მარშრუტების და სატრანსპორტო საშუალებების, ღირშესანიშნაობების, მაღალმთიან აჭარაში მოგზაურობის, კულინარის , სასტუმროების , გასართობი ცენტრების და რესტორნების შესახებ. ასევე გზამკვლევში შეყვანილა რეგიონში მოგზაურობისათვის სასარგებლო რჩევები და თემატური რუკები)

დაიბეჭდა 100 000 რუკა - რომელიც უფასოდ გაიცემოდა ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში

მოხდა მაჭახელას კულტურულ-ისტორიული მარშრუტის ნაწილობრივი მარკირება

- დამონტაჟდა ტურისტული ნიშნულები
- დამონტაჟდა ნიშნულები საოჯახო სასტუმროებისათვის
- შეიქმნა მარშრუტის ელექტრონული რუკა
- დაიდგა მარშრუტის საინფორმაციო დაფა

ასევე ველო მარშრუტი ბათუმი-მირვეთი-ბათუმი მარკირება

- დაიდგა ველო ნიშნულები და საინფორმაციო დაფა
- დამონტაჟდა ველო სადგომები
- შეიქმნა ველო მარშრუტის ელექტრონული რუკა

დაიდგა ტურისტული ნიშნულები სოფელ გობრონეთში

- **ჩატარდა საინფორმაციო ტურები ადგილობრივი სააგენტოებისთვის და ტურიზმის სექტორის წარმომადგენელებისთვის**
- **დაემატა მთელი წლით ფუნქციონირებადი ერთი საინფორმაციო ცენტრი** - ახალი სამთხო სათხილამურო კურორტი „გოდერძის"გახსნასთან დაკავშირებით ხულოს ტურისტული საინფორმაციო ცენტრი მუშაობდა მთელი წლის მანძილზე.
- **შემუშავდა გოდერძის ტურისტული პაკეტი** რომლის რეალიზაცია შესაძლებელია ყველა საინფორმაციო ცენტრებში (ბულვარის, საბაგიროს, ქობულეთის , ხულოს საინფორმაიცო ცენტრები)
- **დაინიშნა სპეციალური მარშუტი** კუროტ „გოდერძის" პოლულარიზაციისთვისა და ხელშეწყობისთვის რომელიც ახორციელებდა პირდაპირ რეისებს საინფორმაციო ცენტრიდან სამთო-სათხილამურო კურორტამდე. (ტრანსფერი დაიწყო 20დეკემბრიდან და სულ წლის ბოლომდე განხორციელდა 7 ტრანსფერი.)
- **განხორციელდა საინფორმაციო ტური სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძზე** ტურისტული სააგენტოების და ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისთვის

სერვისები

პროექტი „იდუმალი სტუმარი"

ჩატარდა 150 ტურისტული ობიექტის (განთავსებისა და კვების ობიექტები და ტურისტული სააგენტოები) კვლევა მომსახურების ხარისხის დასადგენად „იდუმალი სტუმარის" მეთოდის გამოყენებით.

ტურიზმის რეგიონალური ფორუმი „მაგნოლია 2015"

2015 წელს, საფუძველი ჩაეყარა ტურიზმის რეგიონალურ ფორუმს „მაგნოლია 2015", სადაც ტურიზმის ინდუსტრიის წარმატებული კომპანიები დაჯილდოვდნენ. გამარჯვებულები იდუმალი სტუმრის შედეგების, ტურისტული სააგენტოებისა და ონლაინ დაჯავშნის bookin.com, tripadviser.com გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა.

ახალი ვებ-გვერდი gobatumi.com

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა 2015 წელს მუშაობა დაასრულა ახალ, მობილურ მოწყობილობებთან თავსებად, სამენოვან **ოფიციალურ ტურისტულ პორტალზე.**

გადამზადდა 300 დასაქმებული კადრი

გადამზადდა განთავსების და კვების ობიექტების, ტურისტული სააგენტოების მმართველი და საშუალო რგოლი. წელს, პირველად ტრენინგებში მონაწილეობას ღებულობდა უცხოელი ტრენერები (კანადა, თურქეთი, გერმანია).

ახალი პროექტები (axali slaidi)

მიმდინარე წელს, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ახალ პროექტებს იწყებს. პროექტები „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“, „სატრენინგო-საკონსულტაციო ცენტრი“ და „გიდების ლიცენზირება“ მიზნად რეგიონში ტურიზმის სექტორის განვითარებასა და სერვისის გაუმჯობესებას ისახავს.

„რეკომენდებულია ტურიზმის დეპარატამენტის მიერ“

პროექტი „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ მიზნად აჭარის რეგიონში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას, უსაფრთხოებისა და ტექნიკური ხასიათის სტანდარტების წახალისებას ისახავს. პროექტის მონაწილე განთავსებისა და კვების ობიექტები სპეციალური ტექნიკური შემოწმების გავლის შემდეგ მიიღებენ სპეციალურ ნიშას „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“, რომელიც ტურისტებისთვის კონკრეტული ობიექტის სანდოობისა და ხარისხის ერთგვარ გარანტად იქცევა.

„სატრენინგო-საკონსულტაციო ცენტრი“

ტურიზმის დეპარტამენტის სერვისებისა და ტურისტული პროდუქტების განვითარების განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდება სატრენინგო-საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც ტურიზმის სფეროს მოქმედი თანამშრომლებს ტრენინგებით უზრუნველყოფს და ამავდროულად სატრენინგო-საკონსულტაციო მომსახურებას გაუწევს კვებისა და განთავსების ობიექტებს.

გიდების ლიცენზირება

პროექტი „გიდების ლიცენზირება“ რეგიონში ტურისტული გიდის მომსახურების საუკეთესო ხარისხის უზრუნველყოფასა და სპეციალური სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებს. ტურისტული გიდის ლიცენზირების პირველ ეტაპზე იგეგემება ქალაქის გიდის, ზემო აჭარის გიდისა და დაცული ტერიტორიის - მტირალას ეროვნული პარკის გიდის ლიცენზირება. შერჩეული კანდიდატები გაივლიან ტესტირებას, გასაუბრებას და მოაწყობენ საჩვენებელ ექვსკურსიას, რის შემდეგაც მოხდება მათი ლიცენზირება. პროექტი ხელს შეუწყობს ტურისტული გიდის მომსახურების მნიშვნელობის გაზრდასა და ხარისხის ზრდას ტურიზმის სექტორში.